

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგის

ანგარიში

1 აპრილი – 1 დეკემბერი



თბილისი, 2016

შინაარსი

შესავალი	2
1. მონტორინგის მეთოდოლოგია	2
2. ძირითადი ტენდენციები	4
3. რაოდენობრივი მონაცემები	5
4. თვისებრივი მონაცემები	8
4.1. სიღრმისეული გაშუქების ნაკლებობა	8
4.2. ბავშვები, როგორც რესპონდენტები	9
4.3. ბავშვების სტიგმატიზება	10
4.4. რეტრავმირება	12
4.5. არასრულწლოვნის არასაჭირო იდენტიფიცირება	13
4.6. არასაჭირო დაფარვა	14
4.7. ჯანმრთელობის პრობლემების მქონე და სიღარიბეში მცხოვრები ბავშვები	16
4.8. არასრულწლოვანთა სუიციდის გაშუქება	18
4.9. ბავშვები რეკლამის ობიექტებად	19
4.10. არასწორი ტერმინოლოგია	20
5. 1 ივნისი	21
5. სიღრმისეული გაშუქების მაგალითები	23
6. საბავშვო გადაცემები	25
6.1. საერთო მაუწყებლები	25
6.1.1. პირველი არხი	25
6.1.2. რუსთავი 2	27
6.2. ბასტი ბუბუ	28
6.3. ენკი-ბენკი	30
დასკვნა	31

შესავალი

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით ახორციელებს პროექტს „ბავშვთა საკითხების ეთიკური გაშუქება“, რომლის ერთ-ერთი კომპონენტია ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგი.

მედიამონიტორინგის მიზანი ელექტრონულ, ონლაინ და ბეჭდურ მედიაში ბავშვთა საკითხებზე გამოქვეყნებული მასალების შესწავლა, ბავშვთა უფლებებთან, ეთიკურ ნორმებსა და სიღრმისეულად გაშუქების პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზია.

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია 2016 წლის 1 აპრილიდან 1 დეკემბრამდე პერიოდში ჩატარებული მონიტორინგის შემაჯამებელი შედეგები. პროექტის ფარგლებში გამოქვეყნდა ერთი შუალედური ანგარიშიც. ანგარიში არ მოიცავს აგვისტოს პერიოდს.

დოკუმენტში გაანალიზებულია ბავშვთა საკითხების გაშუქებისას გამოკვეთილი ხარვეზები, ტენდენციები. ანგარიშს თან ერთვის რეკომენდაციებიც. აგრეთვე მიმოხილულია საბავშვო არხების მიერ მომზადებული მასალები და ცენტრალურ არხებზე გასული საბავშვო გადაცემების ანალიზი.

ანგარიშში ცალკე ქვეთავი ეთმობა ბავშვთა საკითხების გაშუქების შეფასებას, 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს.

1. მონიტორინგის მეთოდოლოგია

მონიტორინგმა გაანალიზეს როგორც პრესაში ისე ონლაინ და სამაუწყებლო მედიაში გამოქვეყნებული ყველა მასალა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ეხებოდა ბავშვს. მონიტორინგი აანალიზებდნენ როგორც ცალკეულ თემებთან დაკავშირებით ბავშვების გაშუქებას, ასევე მათ შესახებ მომზადებული მასალების ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისობას. აკვირდებოდნენ თუ რა ჭრილში, რა კონტექსტში შუქდება ბავშვებთან დაკავშირებული საკითხები. როგორ ჩანდნენ ბავშვები ჟურნალისტურ მასალებში და რა თემებთან დაკავშირებით საუბრობდნენ ისინი.

ანგარიში მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ ანალიზს.

რაოდენობრივ კომპონენტში მონიტორინგი აკვირდებოდნენ და ითვლიდნენ ბავშვთა საკითხებთან დაკავშირებული მასალები ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ თემას ეხებოდა:

- განათლება
- ჯანდაცვა
- სოციალური
- სპორტი
- კულტურა
- ბავშვთა უფლებები
- ძალადობა ოჯახში
- სუიციდი
- კრიმინალი
- სარეკლამო მასალა
- ქველმოქმედება
- რელიგია
- ტრაგედია/ინცინდენტი
- სხვა

*პირველ ივნისს, ბავშვთა უფლებების დაცვის დღეს დაემატა „ღონისძიებები“ ასეთი ტიპის მასალის სიმრავლიდან გამომდინარე.

რაოდენობრივად ითვლებოდა რამდენი მასალა მზადდებოდა ბავშვის მონაწილეობით და მის გარეშე. მონიტორები ასევე აკვირდებოდნენ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რა ტიპის მასალები მზადდებოდა ბავშვებთან დაკავშირებით:

- მოკლე ახალი ამბავი/ კადრ+სინქრონი
- სტატია/სიუჟეტი
- სიღრმისეული მასალა
- გადაცემა

თვისებრივი ანალიზისას მონიტორებისთვის სახელმძღვანელო პრინციპებად შერჩეული იყო:

- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია
- ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ აღიარებული მითითებები და პრინციპები, რომელიც ეხება ბავშვთა საკითხებთან დაკავშირებულ პუბლიკაციებს
- გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია
- ბავშვთა საკითხების მედიაში გაშუქების სახელმძღვანელო პრინციპები
- მაუწყებელთა ქცევის კოდექსი

კვლევისას ასევე გაანალიზდა ტელეეთერში მომზადებული საბავშვო გადაცემები, რათა გვეჩვენა, თუ რა ტიპის და შინაარსის მასალას უყურებენ ბავშვები და რამდენად თანხვედრაშია ის მაღალ მედიასტანდარტებთან. დაკვირვებისთვის შეირჩა 2 საბავშვო არხი, „ბასტი-ბუბუ“ და „ენკი-ბენკი“, რომლის სამაუწყებლო ბადე გაანალიზდა სრულად. ასევე ცენტრალურ არხებზე გასული კონკრეტული საბავშვო გადაცემები.


2. ძირითადი ტენდენციები

- 2015 წელთან შედარებით გაიზარდა ბავშვთა საკითხების გაშუქება ონლაინ მედიასა და პრესაში. ტელეეთერში კი თითქმის არ შეცვლილა მასალების რაოდენობა.
- ბავშვები ყველაზე ხშირად განათლებასა და კრიმინალთან დაკავშირებულ თემებში ჩანდნენ.
- ბავშვების შესახებ მომზადებული მასალების მხოლოდ 1% პროცენტს შეადგენს ისეთი ჟურნალისტური პროდუქტი, სადაც საკითხი სიღრმისეულადაა განხილული. ბავშვთა საკითხებთან დაკავშირებული მასალების უმრავლესობა ზედაპირული და ფრაგმენტულია.
- 2015 წლის მარტი - ოქტომბრის მონიტორინგის შედეგებთან შედარებით 12-დან 35 პროცენტამდე გაიზარდა იმ მასალების რიცხვი, სადაც ბავშვები თავად საუბრობენ.
- ბავშვების ხმა ყველაზე მეტად სპორტთან დაკავშირებულ მასალებში ისმოდა.
- არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც ჟურნალისტებმა ბავშვი იმ შემთხვევაშიც დაფარეს, როდესაც საჭირო არ იყო ან სხვა დეტალები იმდენად იდენტიფიცირებული იყო, რომ მხოლოდ ბავშვის სახის დაფარვა აზრს კარგავდა.
- ბავშვებთან დაკავშირებული კანონპროექტები ძირითადად პოლიტიკოსების დაპირისპირების ჭრილში განიხილება. აუდიტორიისთვის უცნობია რა გავლენას იქონიებს ცვლილები ბავშვის ცხოვრებაზე.
- პრობლემად რჩება ბავშვების გამოყენება რეკლამისა და ქველმოქმედების ობიექტებად. ხშირად ასეთ შემთხვევაში ერთი და იგივე ტექსტი სხვადასხვა ონლაინ მედიასაშუალებებში ქვეყნდება, მაგრამ მითითებული არ არის, რომ ტექსტი დაფინანსებულია და არ მომზადებულა სარედაქციო პასუხისმგებლობის ქვეშ.
- პოლიტიკოსები/სახელმწიფო უწყებები ბავშვების მიმღე სოციალურ მდგომარეობას აქტიურად იყენებენ საკუთარი პოპულარიზაციისთვის რაშიც ხელს უწყობს მედია.
- სოციალურ პრობლემებზე მომზადებულ მასალებში ხშირ შემთხვევაში ბავშვი ემოციის გასამძაფრებლად გამოიყენება.
- ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბავშვების საკითხი უმთავრესად ქველმოქმედების ჭრილში შუქდება, მედია ცდილობს თავად მოიძიოს სახსრები მათ დასახმარებლად და აქცენტს არ აკეთებს სისტემურ პრობლემაზე, რის გამოც ბავშვებს რიგითი მოქალაქეების დახმარება სჭირდებათ.
- ბავშვებთან დაკავშირებით მომზადებულ მასალებში ეთიკური სტანდარტების დარღვევა რამდენიმე შემთხვევაში გამოიხატა ძალადობის მსხვერპლი ანდა სავარაუდოდ არასრულწლოვანი დამნაშავის იდენტიფიცირებაში.
- კვლავაც არაერთი მასალა გამოქვეყნდა, რითიც ბავშვების სხვადასხვა ნიშნით სტიგმატიზება მოხდა.

- იშვიათია საერთო მაუწყებელი, რომელსაც ერთი გადაცემა მაინც აქვს ბავშვებისთვის განკუთვნილი.
- საბავშვო არხების ეთერში გასული გადაცემები ვერ სთავაზობს საინტერესო და მრავალფეროვან შინაარსს სხვადასხვა ასაკის არასრულწლოვნებს.
- საბავშვო არხების მიერ მომზადებული მასალა ვიზუალურად დაბალი ხარისხისაა, არ არის გამოყენებული ამბის გადმოცემის სხვადასხვა ფორმები, ინოვაციური ხერხები აუდიტორიის მოსაზიდად.
- საბავშვო არხების ეთერში გასული გადაცემების უმეტესობა სავსეა გენდერული სტერეოტიპებით. გადაცემებში ბიჭებს ვხვდებით სათამაშო ავტომატებით შეიარაღებულ, გოგონებს - სამზარეულოში ანდა სილამაზის სალონში.

3. რაოდენობრივი მონაცემები

2016 წელს გასულ წელთან შედარებით ბავშვთა საკითხების გაშუქება ონლაინ მედიასა და პრესაში გაიზარდა. თუ 2015 წლის 1 მარტი - 30 ოქტომბრის პერიოდში 4015 მასალა გამოქვეყნდა, რომელიც ბავშვებს პირდაპირ ან ირიბად ეხებოდა, 2016 წლის 1 აპრილი-30 ნოემბრის პერიოდში ამ მაჩვენებელმა 4819 შეადგინა. თითქმის იდენტურია ტელემედიაში გასული მასალების რაოდენობა. მასალების რაოდენობა გაიზარდა სექტემბრიდან, ნოემბერში კი ოქტომბერთან შედარებით გაორმაგდა, ეს იმ პირობებში, რომ რაიმე განსაკუთრებული




მოვლენა არასრულწლოვნებთან დაკავშირებით, არ მომხდარა.

მედიის მიერ ბავშვებთან დაკავშირებით გაშუქებული თემებიდან სჭარბობს განათლება (27%) და კრიმინალი (12%), მას მოსდევს ქველმოქმედება (10%), შემდეგ მოდის ტრაგედიები და სოციალური პრობლემები (8%)


განათლებასთან დაკავშირებული მასალების დიდი რიცხვი ძირითადად გამოწვეულია არა განათლების პრობლემის სიღრმისეული გაშუქებით და მედიის განათლებისადმი განსაკუთრებული ინტერესით, არამედ ახალი ამბების ფორმატით გაშუქებული ისეთი თემებით, როგორიცაა სკოლებში სასწავლო წლის დაწყება/დამთავრება, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარება, მინისტრის განცხადებები და აშ.

კრიმინალური თემების კატეგორიაში ხვდებოდა ის მასალები, სადაც საუბარი იყო დანაშაულებზე, რომლის მონაწილეები (ბრალდებული, მოწმე, მსხვერპლი) არასრულწლოვნები იყვნენ. **ქველმოქმედებაში** მოხვდა მასალები, რომლებიც სხვადასხვა ორგანიზაციების საქმიანობას და მათ მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშებს თუ საქველმოქმედო ღონისძიებებს ეხებოდა, ამავე კატეგორიაში განთავსდა სააღდგომოდ თუ საპირველივინისოდ სხვადასხვა პოლიტიკოსის, ფონდისა თუ ინსტიტუციის მიერ ჩატარებული საქველმოქმედო ღონისძიებები.


ტრაგედიებში გაერთიანდა ყველა უბედური შემთხვევა, რომელშიც ბავშვი ფიგურირებდა. კატეგორია „**სხვაში**“ კი მოხვდა მასალები, სადაც ბავშვები ჩანდნენ მაგალითად, ისეთ დღესასწაულებზე როგორიცაა აღდგომა, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.



როგორც მონიტორინგის რაოდენობრივი მაჩვენებლები ცხადყოფს, ბავშვებთან დაკავშირებით მასალების აბსოლუტური უმეტესობა იყო მოკლე ახალი ამბების ტიპის. ვრცელი მოცულობის მასალებიც კი (სტატია, სიუჟეტი, გადაცემა), საკითხს ზედაპირულად მიმოიხილავდა. საანგარიშო პერიოდში ბავშვთა საკითხებზე მომზადებული მასალების მხოლოდ 1% განიხილავდა თემას სიღრმისეულად.



2015 წლის მონიტორინგის შედეგებთან შედარებით 12-დან 35 პროცენტამდე გაიზარდა იმ მასალების რიცხვი, სადაც ბავშვები თავად საუბრობენ. თუმცა, კვლავაც რჩება ბავშვთა რეპრეზენტაციის პრობლემა, რაც გამოიხატება არასრულწლოვნების, როგორც ინფორმაციის წყაროებად თუ რესპონდენტებად მიზეურულ წარმოჩენაში.



4. თვისებრივი მონაცემები

4.1. სიღრმისეული გაშუქების ნაკლებობა

ბავშვთა საკითხებთან დაკავშირებული მასალების უმრავლესობა ზედაპირული და ფრაგმენტულია. მასალების უმეტესობა მხოლოდ რეტროსპექტულად აშუქებს ამბებს და ძირითად შემთხვევაში არ ხდება თემების მოძიება თავად მედიასაშუალებების თუ ჟურნალისტების ინიციატივით. ასევე, ძირითად შემთხვევებში, არ გვხვდება მასალები, რომლებიც ბავშვებთან დაკავშირებული ამბების, როგორც სისტემური პრობლემების წინ წამოწევას შეეხება და რომელიც კონკრეტული ინსტიტუციების თუ ადამიანების პასუხისმგებლობას დააყენებდა ბავშვთა კეთილდღეობაზე ზრუნვის კონტექსტში. მედია არ ცდილობს პრობლემური ახალი თემების აქტუალიზებას. ამ თვალსაზრისით, მხოლოდ რამდენიმე მედიასაშუალება შეიძლება, მივიჩნიოთ გამონაკლისად.

ხშირ შემთხვევაში ბავშვთა საკითხები აღიქმება სხვა თემებისგან განცალკევებით მიუხედავად იმისა, რომ ბევრი თემა ბავშვებზეც ახდენს გავლენას.

საკითხის ზედაპირულად წარმოჩენის კარგი მაგალითებია ბავშვებთან დაკავშირებით კანონპროექტების გაშუქება, რომელიც ძირითადად პოლიტიკოსების დაპირისპირების კრილში შუქდება. მედია არ უხსნის აუდიტორიას რა დადებითი ან უარყოფითი გავლენა შეიძლება ჰქონდეს ცვლილებებს.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც ეროვნული გამოცდები, ასევე სწავლის დაწყება ახალი ამბების ფორმატში ყველა მედიასაშუალების ყურადღების ქვეშ მოექცა, რამდენიმე პოზიტიური გამონაკლისის გარდა, თითქმის არ გაუშუქებიათ სწავლის დაწყებასთან, განათლებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები. სხვადასხვა პოლიტიკოსის, ჩინოვნიკის მილოცვით ანდა მათ მიერ ბავშვების სკოლაში მიყვანის ფაქტის გაშუქებით შემოიფარგლნენ.

იგივე პრობლემაა სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ანგარების გამოქვეყნებისას. ასეთ დროს ფოკუსი თავად ორგანიზაციების მიერ მოწყობილი ღონისძიების გაშუქებაზეა და ანგარიშში ასახული პრობლემები ვერ ხდება მედიის ინსპირაციის წყარო, რათა უფრო ფართოდ გააშუქონ საკითხი.

სამონიტორინგო პერიოდში დაფიქსირდა ბავშვების შესახებ საკითხების სენსაციურ კონტექსტში გაშუქების შემთხვევები. მაგალითად, „პალიტრამ“ 8 ოქტომბერს მოამზადა მასალა, რომლის მიხედვითაც მე-9 სართულიდან წლინახევრის ბავშვი გადმოვარდა, რის შემდეგაც გადმოხტა დედაც. ორივე ადგილზე გარდაიცვალა. ვიდეოებში ჟურნალისტი [არკვევდა ისეთ დეტალებს](#) თუ რა ერქვა დედას, შვილს, რამდენი წლის იყვნენ აივნისაგან გადმოხტა დედა თუ ფანჯრიდან და აშ. შემდეგ ვიდეოშიც არასაჭირო დეტალებთან ერთად

ისმოდა ჭირისუფლების კვილი. ჟურნალისტმა მაყურებელს ზუსტად მიუთითა, სად იყო გვამები განთავსებული.

4.2. ბავშვები, როგორც რესპონდენტები

როგორც რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2015 წელთან შედარებით გაიზარდა იმ მასალების რიცხვი, სადაც ბავშვები, როგორც რესპონდენტები ჩანან, მაინც რჩება პრობლემად ის, რომ მათი ხმა არ ისმის თავად ბავშვებთან დაკავშირებულ თემების გაშუქების დროსაც. მათ ნაცვლად უფროსები საუბრობენ.

კულტურა და სპორტი არის ის 2 კატეგორია, სადაც ბავშვების ჩართულობით მომზადებული მასალების ოდენობა აღემატება მათ გარეშე მომზადებულ მასალებს. ეს შესაძლოა ამყარებდეს სტერეოტიპს, რომ ბავშვებს აზრი მხოლოდ ე.წ. მსუბუქ თემებზე, კულტურისა და სპორტის სფეროზე, უნდა გამოვითქმევინოთ. ყველაზე ნაკლებად ბავშვები ბავშვთა უფლებების თემატიკაზე მომზადებულ მასალებში ჩანან.

განსაკუთრებით დღის გადაცემებში ხშირად ბავშვები უბრალოდ დეკორაციის როლს ასრულებენ. მაგალითად, 16 ივნისს, GDS-ის შუა დღის შოუში გავიდა ერთი ბლოკი მოზარდებში ნაგვის დახარისხებისა და გადამუშავების შესახებ ცნობიერების გაზრდასთან დაკავშირებით. გადაცემის სტუმრები იყვნენ არასრულწლოვნებიც, თუმცა ისინი მხოლოდ ისხდნენ და თამაშობდნენ ერთ-ერთ საგანმანათლებლო სათამაშო აპლიკაციას, რომლის მიზანიც არის ბავშვებში ნაგვის დახარისხების შესახებ ინფორმირებულობის დონის ზრდა.

20 სექტემბერს [TV 25-ის მოამზადებულ სიუჟეტში](#) საუბარია შშმ ბავშვების მიერ მომზადებულ ფოტო გამოფენაზე, მაგრამ რესპონდენტებად მხოლოდ ზრდასრულები ჩანან. სხვა არაერთი ამგვარი მაგალითი დაფიქსირდა მონიტორინგისას.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არც თუ ისეთი იშვიათია შემთხვევები, როდესაც ბავშვებს უსვამენ მათთვის არარელევანტურ კითხვებს და წარმოაჩენენ „სულელ“ არსებებად. ასეთი ერთი სპეციალური რუბრიკა აქვს „იმედის“ იუმორისტულ გადაცემას „ილო ბეროშვილის შოუ“, სადაც ბავშვებს უსვამენ ისეთ კითხვებს როგორიცაა „თამაზ მეჭიაური მოერევა თუ ნაცარქექია?“, „რა მდგომარეობაშია ქართველი ხალხი?“ ცხადია ამ კითხვებზე მცირეწლოვანი ბავშვები არაადეკვატურად პასუხობენ, რაც მათი დაცინვის საფუძველი ხდება. ასეთი ვიდეომასალა ვრცელდება ინტერნეტ გამოცემების მეშვეობითაც.

ამგვარი მასალა რუსთავი 2ის გადაცემა „ნანუკას შოუს“ ეთერიდან გავიდა [13 ოქტომბერს](#). ერთ-ერთ ბლოკში მიწვეული იყო 4 ბავშვი, როგორც ექსპერტები, რომლებსაც პოლიტიკასთან დაკავშირებულ კითხვებს უსვამდა, რითიც ცდილობდა, რომ ამ ბავშვებისგან

სასაცილო პასუხები მიეღო. შესაბამისად, ბავშვები აშკარად გამოყენებულები იყვნენ უფროსების გასართობად, მათთვის ზედმეტად სერიოზული შეკითხვების დასმით და ისეთ თემებზე საუბრით რაც მათ ასაკს არ შეეფერება.

- **რეკომენდაცია:** ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე უფროსებთან ერთად თავად ბავშვებიც ასაუბრეთ. მათი ინტერესები ფართოა და გარდა ზემოთ აღნიშნული მსუბუქი თემებისა, შეუძლიათ იმსჯელონ ყველა იმ პრობლემაზე, რაც ბავშვებს უკავშირდებათ. დაინტერესდით მათი აზრით იმ ცვლილებებზე, რეფორმებზე ყველა სფეროში, რაც მათ ეხებათ. შეეცადეთ, ერთის მხრივ დაიცვათ ბავშვის ინტერესები და მეორეს მხრივ არ შეზღუდოთ მისი გამოხატვის თავისუფლება.

4.3. ბავშვების სტიგმატიზაცია

ამ საანგარიშო პერიოდში, ისევე როგორც გასულ წელს, აქტუალური იყო მოზარდების სტიგმატიზაცია და განსხვავებულად ჩაცმული არასრულწლოვნების სხვადასხვა სექტასთან დაკავშირება.

ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ გადაცემა „ნანუკას შოუმ“ და „იმედის“ გადაცემა „გია ჯაჯანიძის შოუმ“ მიუძღვნეს გადაცემა ბავშვებს, რომლებიც მიწისქვეშა გადასასვლელში, ე.წ. მორგში იკრიბებიან. გადაცემების თანახმად, ბავშვები, რომლებსაც აქვთ ოჯახური პრობლემები, იკრიბებიან მიწისქვეშა გადასასვლელში, ე.წ. მორგში, მონაწილეობენ რიტუალებში, აწამებენ კატებს, არიან სატანისტები, სუიციდით ასრულებენ სიცოცხლეს, აქვთ არაორდინალური ვარცხნილობები, ატარებენ მძიმე მაკიაჟს და ა.შ.

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ გია ჯაჯანიძეს გადაცემაში ამ საკითხზე სასაუბროდ მოწვეული ჰყავდა არაკომპეტენტური ადამიანები: მსახიობები, მომღერლები, სასულიერო პირები და ა.შ., რაც გადაცემის ფონს უფრო „სენსაციურს“ ხდიდა.

ამავე შოუში ნაჩვენები კადრებით შესაძლებელი იყო იმ ადგილის იდენტიფიცირება, სადაც ბავშვები იკრიბებიან, რაც ფარულ მესიჯს, რომ ოჯახში პრობლემების მქონე ბავშვებს შეუძლიათ იმავე ადგილას მივიდნენ. გარდა ამისა, გადაცემა საფრთხის და აგრესიის რისკის წინაშე აყენებდა ნებისმიერ არასრულწლოვანს, რომლის ვიზუალური იერი შესაძლოა ჰგავდეს გადაცემაში აღწერილ მოზარდებს. გადაცემის ფრაგმენტები ინტერნეტმედიის მეშვეობითაც გავრცელდა.

არასრულწლოვნების ე.წ. სექტას მიუძღვნეს მასალები ბეჭდურმა გამოცემებმაც და ბავშვები, რომელთაც განსხვავებულად აცვიათ, კატების და ძაღლების მწამებლებად იყვნენ წარმოჩენილნი. სუიციდის ფაქტები კი სექტას დაუკავშირეს. (მაგ. გაზეთი „ალია“). მნიშვნელოვანია, რომ ზემოხსენებული სტატიები არც სატანისტური და არც ზოგადად ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგი

არანაირი სექტის არსებობის დამადასტურებელ არცერთ ფაქტს და მტკიცებულებას არ ეფუძნებოდა.

ამგვარი მაგალითები სხვა შემთხვევაშიც იყო, მაგალითად, ნიუპოსტმა დაწერა ახალი ამბავი, სადაც 2 დაკარგული გოგონას ამბავი სექტას დაუკავშირა, მიუხედავად იმისა, რომ არანაირი [საფუძველი მასალაში არ ჩანს](#). [Ambebi.ge-ს მასალაში](#) კი ყველა მოზარდი, ვისაც განსხვავებულად აცვია, წარმოჩენილია საზოგადოებისთვის საშიშ ადამიანებად.

ხელოვნური განაყოფიერების შედეგად გაჩენილი ბავშვების სტიგმატიზაცია მოხდა [4 ოქტომბერს „იმედის“](#) გადაცემა „დღის შოუში“, სადაც გადაცემას სტუმრობდა ქალი, რომელმაც შვილი გარდაცვლილი ქმრის ბიოლოგიური მასალის გამოყენების შედეგად გააჩინა. მიუხედავად იმისა, რომ გადაცემაში არ დაფიქსირებული განსაკუთრებული ეთიკური გადაცდენა, საერთო ჯამში ეს ეპიზოდი ბავშვის, როგორც უცნაური არსების სტერეოტიპიზაციას ახდენდა. რუბრიკის სათაურიც კი ამაზე მეტყველებდა „შვილის გაჩენის უცნაური ისტორია.“ გადაცემაში დედა და ქეიმები საუბრობდნენ რომ ის ჩვეულებრივი ბავშვია და ა.შ. ბლოკის მიწურულს წამყვანი შეეცადა ყურადღება გაემახვილებინა ფაქტზე, რომ საზოგადოებაში არსებობს ერთგვარი ნეგატიური სტერეოტიპი ხელოვნური განაყოფიერებით დაბადებული ბავშვების შესახებ, თუმცა საერთო ჯამში, ვფიქრობთ, გადაცემა თავად ახდენდა ამ ისტორიის გმირი ბავშვის სტერეოტიპიზაციას.

სტიგმატიზაციის საფრთხე სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ღონისძიებების გაშუქებასაც ახლავს. მათგან აღსანიშნავია ერთ-ერთი მასალა, რომლის მიხედვითაც “მსჯავრდებულთა და ყოფილ მსჯავრდებულთა” შვილებს „ჯინო პერედისმა“ უმასპინძლა. მასალა ბავშვების ფოტოები ადევს, ფოტოზე მათი ამოცნობა შესაძლებელია, რაც ამარტივებს მათთვის მსჯავრდებულის შვილის იარლიყის მიწებებას.

kvira.ge- გამოაქვეყნა სარეკლამო სტატია, რომლის მიხედვითაც შშმ ბავშვების დასახმარებლად შოუბიზნესის წარმომადგენლები აქციას მართავენ. სტატია სტერეოტიპულადაა დაწერილი და მიუხედავად იმისა, რომ შშმ ბავშვების დახმარებას და მათ ინტეგრაციას ისახავს მიზნად, პირიქით, მათ სტიგმატიზაციას ახდენს. ამ ბავშვებს ჯანმრთელ, სრულფასოვან ადამიანებად არ განიხილავს და მათზე წერს როგორც სათუთ, მოსაფრთხილებელ, არასრულფასოვან ადამიანებზე. სტატიის სტილი პათეტიკურია. ამონარიდი სტატიიდან: “მალე ბავშვებს ვინახულებთ. ვდელავთ, ვაგრძნობინოთ თავი სრულყოფილ ადამიანებად, ფრთხილ და სათუთ მიდგომას მოითხოვს”.

ჭარბი წონის მქონე ბავშვების სტიგმატიზაცია შეიძლება მოახდინოს საზოგადოებრივ მაუწყებელზე დილის გადაცემამ ბავშვებში ჭარბი წონის შესახებ. გადაცემა იწყება სიუჟეტით, რომლის მთავარი გმირიც შვიდი წლის ლაზარეა, რომელიც “10 წლის და ბარბარესგან

განსხვავებით, მადას ნამდვილად არ უჩივის”. “დედა სულ მეუბნებოდა არ ჭამო, მაგრამ რა ვქნა, ჭამა მიყვარს”, -ამბობს ბავშვი.

- **რეკომენდაცია:** თავიდან აირიდეთ ბავშვთან დაკავშირებული პრობლემების სენსაციურ და სტერეოტიპულ ჭრილში გაშუქება. ეცადეთ, არ მოახდინოთ კატეგორიზაცია ან სიუჟეტის ისეთ აღწერა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბავშვისათვის დამატებითი ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანის მიყენება, დამცირება, დისკრიმინაცია ან ადგილობრივი საზოგადოების მიერ გარიყვა

4.4. რეტრავმირება

მედიამ არასათანადო გაშუქებით შესაძლოა ბავშვის რეტრავმირება გამოიწვიოს, გაახსენოს უკვე გადატანილი მძიმე ამბავი და ხელახალი ტრავმა მიაყენოს, რისი შემთხვევაც არაერთხელ დაფიქსირდა საანგარიშო პერიოდში. მაგალითად, [„ერთსულოვნების“ ეთერში](#) ბავშვი დედასთან ერთად იმყოფებოდა. მშობელი საუბრობდა, როგორ დაკარგა სმენა ბავშვმა, სავარაუდოდ, ანტიბიოტიკების მიღების გამო და როგორ აღუდგინეს შემდეგ. გადაცემის განმავლობაში ბავშვს დედა ეუბნება - „იცი, რა მოუყევი? როგორ გაგიკეთეს ოპერაცია, შენ ხომ იცი? აბა მოუყევი თუ იცი“, რის საპასუხოდაც ბავშვი ამბობს - “მე რომ ვიყავი პატარა, მე ყური მეტკინა. დედა და მამამ წამიყვანეს საავადმყოფოში. შოთა ბაბუმ გამიკეთა ყურზე ოპერაცია”. დედა დეტალურად აჩვენებს გარე იმპლანტს, რომელიც ბავშვს აქვს დამაგრებული ყურის მიდამოებში. გარდა იმისა, რომ ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია საჯაროვდება, შესაძლებელია ამ დეტალების გახსენებით, მან ხელახლა განიცადოს ის, რაც უკვე გადაიტანა.

რეტრავმატიზაციის საფრთხე შექმნა 13 ივნისსაც, რუსთავი 2-ის გადაცემა შუადღეში გასულმა სიუჟეტმა 2015 წლის 13 ივნისის ტრაგედიის მსხვერპლი ბავშვების შესახებ, რომლებსაც დასჭირდათ ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსის გავლა. ჟურნალისტი ახსენებინებს მათ რა ახსოვთ იმ ღამიდან, როგორ ცუდად გრძნობდნენ ისინი თავს, როგორი დათრგუნულები იყვნენ და ა.შ.

ტრავმასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ტელეკომპანია გადაცემა „დღის შოუ“, სადაც [31 ოქტომბერს](#) ერთ-ერთი სტუმრის ჩვილ ბავშვს გაუხვრიტეს ყური პირდაპირ ეთერში. ბავშვი ფაქტობრივად მთელი გადაცემის მანძილზე ტიროდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ იგი საჩვენებელ, საცდელ ობიექტად უფრო იყო წარმოჩენილი იყო, ვიდრე სრულყოფილ

პიროვნებად, რომელსაც შესაძლოა ისევე მიადგეს ტკივილი საკუთარი სურვილის გარეშე ჩატარებული ფიზიკური ზემოქმედებით, როგორც ნებისმიერ მოზარდს ან ზრდასრულს.

- **რეკომენდაცია:** ეცადეთ თავიდან აიცილოთ ბავშვისთვის იმ ამბის გახსენება, რაც ბავშვზე ნეგატიურად იმოქმედებს, იწვევს ტრავმის შედეგად წარმოქმნილი ტკივილის და უარყოფითი ემოციის ხელახალ განცდას. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაწონის საჯარო ინტერესი.

4.5. არასრულწლოვნის არასაჭირო იდენტიფიცირება

ბავშვის ვინაობის გამხელა დაუშვებელია მაშინ, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნებით არასრულწლოვანს შესაძლოა ზიანი მიადგეს, რაც განსაკუთრებით აუცილებელია მსხვერპლი ანდა სავარაუდო დამნაშავე არასრულწლოვანთან მიმართებით. მონიტორინგის პერიოდში რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც მსხვერპლის და იმ ბავშვის ირიბი იდენტიფიცირება ხდებოდა, რომელსაც დანაშაულის ჩადენას აბრალებდნენ.

ამგვარი შემთხვევა იყო ხელვაჩაურში მომხდარი მკვლელობის შესახებ „კვირის პალიტრის“, kvira.ge-სა და „იმედის“ მიერ მომზადებულ მასალებში, სადაც შესაძლებელი იყო იმ არასრულწლოვანის ამოცნობა, რომელსაც გარდაცვლილი ბავშვის დედა მკვლელობაში ადანაშაულებდა.

მსხვერპლი ბავშვის იდენტიფიცირება ხდება „ალიას“ სტატიაში, რომელიც ეხება სასულიერო პირისაგან არასრულწლოვანის მიმართ სავარაუდო გარყვნილი ქმედების ჩადენას. მართალია, სტატიაში არასრულწლოვნის სახელი და გვარი ინიციალებითაა დაწერილი, მაგრამ სტატიის ავტორი ამჟღავნებს ბიჭის დედის სახელსა და გვარს. თემა საკმაოდ სენსიტიურია და ეხება არასრულწლოვანთან სექსუალური ხასიათის კავშირს, ამიტომ ჟურნალისტს თავი უნდა აერიდებინა არასრულწლოვნის იდენტიფიცირებისაგან.

კვლავაც იყო შემთხვევა კრიმინალურ საქმეებში მონაწილე ბავშვების ირიბი იდენტიფიცირებისა. მაგალითად, როდესაც ნაციონალისტური მოძრაობა „ქართული ძალის“ წევრები, მათ შორის არასრულწლოვნებიც დააკავეს თბილისში აქციის მსვლელობისას. ტელეკომპანია „პირველზე“ ერთ-ერთი დაკავებული არასრულწლოვანის მმის, პირველმა არხმა კი დედის კომენტარი გაუშვეს, რითაც არასრულწლოვანის ირიბი იდენტიფიცირება მოახდა.

ასევე დედის ჩვენებით მოხდა ირიბი იდენტიფიცირება ფონიჭალაში მომხდარი ამბის გაშუქებაზე, როცა შელაპარაკების ნიადაგზე არასრულწლოვანმა ასევე არასრულწლოვანი მოკლა. დედა ამბობდა: „მე პირადად ჩემი შვილის მაგივრად ჩვენება მივეცი, როგორც მოწმე“. მათ შორისაა „პალიტრა“, იმედი, რუსთავი 2, პირველი არხი.

ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგი

“რუსთავი2-ზე“ კი გავიდა სკოლაში მომხდარი ბულინგის შესახებ სიუჟეტი. წამყვანმა თქვა, რომ ის არ ასახელებს სკოლას და არც ამბავში მონაწილე მხარეებს, რადგან საქმე არასრულწლოვნებს ეხება. სიუჟეტში მართალია, სავარაუდო ბულინგის მსხვერპლი ბავშვი დაფარულია, მაგრამ დედა იდენტიფიცირებულია. საბოლოო ჯამში გაურკვეველი დარჩა, თუ ჟურნალისტს ბავშვის დაფარვა უნდოდა, რატომ აჩვენა დედა, რითიც ბავშვის ირიბი იდენტიფიცირება მოხდა.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ 7 ნოემბერს გაზეთმა „ახალმა თაობამ“ 76 წლის ქალის მკვლელობის ბრალდებით დაკავებული არასრულწლოვნის სრული იდენტიფიცირება მოახდინა. გაზეთმა გამოაქვეყნა მისი სახელი სოციალურ ქსელში. აგრეთვე აღნიშნა, რომ ნინა ჩ. ცნობილი დრამატურგის ოჯახში გაიზარდა, რაც შესაძლოა განვიხილოთ როგორც არასრულწლოვნის იდენტიფიცირების კიდევ ერთი ნიშნი. ამგვარი იდენტიფიცირება მოახდინა ჟურნალმა „გზამაც“ ამ საქმის გაშუქებისას.

- **რეკომენდაცია:** ბავშვის იდენტიფიცირება არ შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბავშვი რაიმე ფორმით უკავშირდება სამართალდარღვევას, დანაშაულს ან იმ შემთხვევაში, როცა შესაძლებელია იდენტიფიცირებით მას რაიმე ტიპის ზიანი მიაღდეს, მაგალითად, გახდეს ბულინგის მსხვერპლი, იძალადონ მასზე ან ნებისმიერი სახით გაუარესდეს არსებული მდგომარეობა.

4.6. არასაჭირო დაფარვა

ბავშვის დაფარვა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია აუცილებელი. თუმცა მონიტორინგმა გამოავლინა ტენდენცია, რომ ქართული მედია ხშირად ბავშვს მაშინაც ფარავს, როდესაც ამის საჭიროება არ არის. ამის კარგი მაგალითია, ტელეკომპანია “რუსთავი 2”-ის [შუადღის გადაცემა](#), რომელიც ეძღვნებოდა თემას, ასეირნებენ თუ არა ძიძები სიცივეში ბავშვებს. არჩილ სოლოლაშვილი შეხვდა რამდენიმე ძიძას. სიუჟეტში ძიძა იყო იდენტიფიცირებული, მაგრამ ბავშვების ნაცვლად გადღაზნილი კადრები „სეირნობდნენ“.



საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში კი [18 ივლისს](#) სახალხო დამცველის ანგარიშის გაშუქებისას ბავშვების ნაცვლად თითქმის სრულად გადაშლილი კადრები გაუშვეს.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ რიგ შემთხვევაში გადაღება არ არის დაგეგმილი კარგად, ჟურნალისტსა და ოპერატორს არ აქვს გააზრებული უნდა მოახდინონ თუ არა ბავშვის იდენტიფიცირება, რომ შემდეგ დაგეგმონ თუ რა ტიპის კარების გადაღება სჯობს.

მაგალითად „იმედმა“ [11 ნოემბერს](#) გააშუქა ზესტაფონში, ვაგონში მცხოვრები რვაშვილიანი ოჯახის პრობლემა. კადრებში ბავშვები დაფარულია. თუმცა, მაგალითად მამასთან ინტერვიუ ისეა ჩაწერილი, რომ ფონად ბავშვები ჩანან, რომელთა სახე დაფარულია. თუ ბავშვების ჩვენება არ სურს რედაქციას, გაუგებარია, მაშინ რატომღა გადაწყვიტა ჟურნალისტმა ფონად ბავშვების გამოჩენა და შემდეგ დაფარვა.



მნიშვნელოვანია, რომ არასათანადო დაფარვის არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში. თითქმის ყველა შემთხვევა მძიმე სოციალურ პირობებში მცხოვრებ ბავშვებს უკავშირდებოდა. მაგალითად, 6 ოქტომბერს პირველი არხის საინფორმაციო გამოშვება „მოამბეში“ გასული სიუჟეტი ეხებოდა სოციალურად მძიმე პირობებში მცხოვრებ ოჯახს, რომელსაც ჯანმრთელობის პრობლემების მქონე არასრულწლოვანი ჰყავს. მისი სახე დაფარული იყო მაშინ, როდესაც მისი იდენტიფიცირება სრულად ხდებოდა. აქედან გამომდინარე გაუგებარია რედაქციამ რატომ მიიღო დაფარვის გადაწყვეტილება.

- **რეკომენდაცია:** ბავშვის დაფარვა მხოლოდ მაშინ არის საჭირო, როდესაც იდენტიფიცირების შემდეგ შესაძლებელია მისი მდგომარეობა გაუარესდეს. ეს არის გამონაკლისი შემთხვევა. როდესაც ბავშვის სახის გარდა ყველაფერი იდენტიფიცირებულია, მაშინ მისი სახის დაფარვა აზრს კარგავს, ვინაიდან ბავშვის ამოცნობა მარტივი ხდება.

გადაღების დაგეგმვისას უმჯობესია წინასწარ განსაზღვროთ, საჭიროა თუ არა ბავშვის დაფარვა. თუ რედაქცია იღებს ბავშვის ამ გადაწყვეტილებას, მაშინ აცნობეთ ეს

ოპერატორსაც და კადრები შესაბამისად გადაიღეთ - აჩვენეთ ისეთი დეტალები, რაც ერთის მხრივ მის იდენტიფიცირებას არ მოახდენს და მეორეს მხრივ არ დააზარალებს მასალის ვიზუალურ მხარეს, მაგალითად, აჩვენეთ სხვადასხვა დეტალები.

4.7. ჯანმრთელობის პრობლემების მქონე და სიღარიბეში მცხოვრები ბავშვები

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯანმრთელობის პრობლემების მქონე და მძიმე სოციალურ პირობებში მცხოვრები ბავშვების გაშუქების ტენდენციები. მედიასაშუალებები ბავშვებს იყენებენ სიღარიბის ილუსტრაციის საშუალებად. როგორც წესი, ოჯახების სოციალური პირობები ნაჩვენებია ამავე ოჯახში მცხოვრები ბავშვების ფონზე, რითიც არასათანადო აქცენტირება ხდება არასრულწლოვნებზე, მათი ემოციების, ცრემლების ჩვენებით მედია ემოციების გაძლიერებას ცდილობს.

მაგალითად, „იმედის“ გადაცემა „იმედის დრომ“ გაუშვა [სიუჟეტი](#), რომელიც ლანჩხუთში სოციალურად დაუცველ ოჯახს ეხება. ჟურნალისტი აქცენტს არ აკეთებს სახელმწიფოს სისტემურ ხარვეზებზე, ორიენტირებული არ არის პრობლემის სრულად ჩვენებაზე, ნაცვლად ამისა, მხოლოდ მძიმე სოციალურ პირობებზე საუბრობს და შაბლონურად იყენებს არასრულწლოვნის ისტორიას მაყურებელში სენტიმენტების გასაღვიძებლად.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის შემცველი მასალების გავრცელება. ამ მხრივ განსაკუთრებით ონლაინ მედია გამოირჩევა. მასალების ძირითადი მიზანი ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვის დახმარებისთვის მოწოდებაა, ამგვარ პროდუქტში ემოციის გასამძაფრებლად დეტალურად ყვებიან ისტორიას ბავშვის ან ოჯახის პირადი ტრაგედიების შესახებ. თითქმის არ სვამენ პრობლემას - რატომ სჭირდება ბავშვს მოქალაქეების დახმარება და რატომ ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემა მის მკურნალობას, სტრუქტურის რომელი რგოლი ვერ მუშაობს, ვინ არის პასუხისმგებელი. ნაცვლად ამისა, მედიასაშუალებები ცდილობენ თავად მოიძიონ სახსრები ბავშვის დასახმარებლად. ანდა აშუქებენ სხვა ორგანიზაციების მიერ გაწეულ ქველმოქმედებას. ასევე დამკვიდრებული პრაქტიკაა ჯანმრთელობის პრობლემის მქონე კონკრეტული ბავშვის დასახმარებლად განცხადებების გავრცელება ანგარიშის ნომრის მითითებით და თანხის გადმორიცხვის მოწოდებით.

მაგალითად ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გავიდა რეპორტაჟი [“დედის ელეგია”](#), სადაც სოციალურად გაჭირვებულ ოჯახზეა საუბარი. დედას ერთი შვილი მოუკვდა, ხოლო მეორე შვილს იგივე დიაგნოზი აქვს. მათ ბინა და ბავშვის სამკურნალო ფინანსები ესაჭიროებათ. სიუჟეტის ბოლოს ავადმყოფ ბავშვს ბინას ჩუქნიან. ჟურნალისტი სენტიმენტალურად აღწერს გიგას მდგომარეობასაც: “მარიამის ოცნებებს ახლა გიგას ოცნებები ჰქვია, მარიამის ეტლს გიგას ეტლი, მარიამის დიაგნოზი, გიგას დიაგნოზი”, “გიგა მთელი დღე ეტლში ზის და

ქუჩაში გასვლაზე ოცნებობს, თუმცა პატარა ბიჭის ოცნებები თვეობით ფანჯრის გამოღმა რჩებიან. ოთახში ცხოვრობს ოცნება სკოლაზე, მასწავლებლებსა და კლასის მეგობრებზე“.

ITV-ს სიუჟეტში კი ბავშვის ღირსებაა შელახული, ბავშვი, რომელიც ადრე მღეროდა, ახლა მძიმედ ავად არის, ფიზიკურად აღარ შეუძლია სიმღერა, თუმცა მაინც „ამღერებენ“.

ქრონიკულად უკურნებელი სენის მქონე ბავშვებისა და ბავშვთა ჰოსპისის შესახებ სიუჟეტი „ქრონიკაში“ გავიდა. სიუჟეტი ნახევრად შიშველი სრულად იდენტიფიცირებული ბავშვის კადრით იწყება, რომელსაც, როგორც ავტორი ამბობს, ცერებრალური დამბლა აქვს. სიუჟეტში ნათქვამია, რომ ჰოსპისში ბავშვებს გარდაცვალებამდე კარგ გარემოს შეუქმნიან: „აქ იქნება გარემო, რომელიც ტკივილებს და გაუსაძლის მდგომარეობას შეუმსუბუქებს ბავშვებს, რომლებსაც ისედაც ცოტა ხნის სიცოცხლე აქვთ დარჩენილი“

მძიმე დაავადების მქონე ბავშვებს ეძღვნებოდა 21 აპრილს ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ეთერში გასული გადაცემა „პროფილი“. გადაცემის მიმდინარეობისას, მშობლები ბავშვების თანდასწრებით ყვებოდნენ, მათი შვილების სასიკვდილო დიაგნოზის შესახებ. წამყვანმა რამდენჯერმე აღნიშნა, რომ შესაძლოა ამ გადაცემით ის გაშუქების სტანდარტებს არღვევს, მაგრამ ახლა მნიშვნელოვანია ამ პრობლემების გაცნობა საზოგადოებისთვის, მან მაყურებლებსაც არაერთხელ მოუწოდა, დახმარებოდა მძიმე მდგომარეობაში მყოფ ბავშვებს.

ასეთი გადაცემების დროს, ჟურნალისტები ყოველთვის ამბობენ, რომ მართალია ბავშვები ქველმოქმედების ობიექტებად არიან წარმოჩენილნი, მაგრამ მეორე მხრივ, გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ ამ ადამიანებს მოქალაქეები ეხმარებიან მატერიალურად, ამ „სიკეთეს“ ჟურნალისტები სასწორის მეორე მხარეს დებენ და ამით ამართლებენ ამბის სენსაციურ, სენტიმენტალურ ჭრილში გაშუქებას. ეს საკითხი მართლაც არის დილემა, რომლის გადაწყვეტაც ჟურნალისტს უწევს - შეარჩიოს ერთი კონკრეტული ამბავი მაშინ, როდესაც იდენტური პრობლემა სხვა არაერთ ბავშვს აქვს, მოამზადოს მასზე მასალა, შეაგროვოს ფული, დაეხმაროს მას, თუ უარი თქვას მხოლოდ ერთი ამბის გაშუქებაზე და აქცენტი ზოგადად პრობლემაზე გააკეთოს, რასაც მოკლე ვადაში შედეგი არ მოჰყვება, შესაბამისად ამ პერიოდში შესაძლოა ბავშვის მდგომარეობა გართულდეს.

მიუხედავად ამისა, მაინც ალბათ უმჯობესია ცალკეული შემთხვევების გაშუქების და ამ კონკრეტული ადამიანებისთვის საქველმოქმედო გადაცემის, სიუჟეტების მომზადებასთან ერთად, უმჯობესია მედიამ პრობლემის იდენტიფიცირება მოახდინოს, ისაუბროს სახელმწიფოს სისტემურ პრობლემაზე და მთელი პასუხისმგებლობა არ დააკისროს მოქალაქეებს, ორგანიზაციებს და მათ მიერ გაღებულ შემოწირულობებს. მართალია გრძელვადიან პერიოდში, მაგრამ ამ გზით უფრო დიდი შანსია მედიამ ყველა იმ ადამიანის დახმარება შეძლოს, ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს.

ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბავშვების გაშუქებაზე საუბრისას ცალკე აღნიშვნის ღირსია მსახიობ შორენა ბეგაშვილის არასრულწლოვანი შვილის, ევა ბარბაქაძის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მასალები. თემა აქტუალური იყო შემთხვევის ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგი

დღიდან მისი მკურნალობის მთელი პერიოდი. ხშირად ისინი ეყრდნობოდნენ თავად შორენა ბეგაშვილის ან ოჯახის ახლობლების მიერ სოციალურ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას.

- **რეკომენდაცია:** ეცადეთ ჟურნალისტური მასალის მთავარი მიზანი სისტემური პრობლემის მხილება იყოს - რატომ არის საჭირო საზოგადოების დახმარება ბავშვის სიცოცხლის გადასარჩენად და რატომ ვერ უზრუნველყოფს მის მკურნალობას სახელმწიფო. გახსოვდეთ, რომ მასალის გმირი ბავშვის გარდა იმავე მდგომარეობაში კიდევ არაერთი ადამიანია და მათ თქვენთან დაკავშირება ვერ მოახერხეს. მოერიდეთ მძიმე ემოციური კადრების გამოყენებას ბავშვის თანდასწრებით არ ასაუბროთ მშობელი იმის შესახებ, თუ რა გართულებები ანდა ლეტალური შედეგი მოჰყვება ავადმყოფობის პროგრესირებას.

4.8. არასრულწლოვანთა სუიციდის გაშუქება

მიუხედავად იმისა, რომ იკლო არასრულწლოვანებთან დაკავშირებით სუიციდისა და კრიმინალის არაეთიკურად გაშუქებამ იკლო, საანგარიშო პერიოდში რამდენიმე პრობლემური მასალა კვლავ მოხვდა. მაგალითად, გადაცემა „იმედის დროში“ გასული [სიუჟეტი](#) მოზარდთა სუიციდს ეხება. განხილულია რამდენიმე ისტორია, დასახელებულია თვითმკვლელობის სავარაუდო მიზეზები, მეთოდი. ერთ-ერთ ისტორიას ფონად გასდევს ცნობილი სიმღერა, რომელიც, გარდაცვლილის მიერ დატოვებულ წერილში მოხსენიებულია, როგორც მისი უკანასკნელი წერილის საუნდტრეკი. სუიციდის ამ ფორმით გაშუქება მის რომანტიზაციის საფრთხეს ქმნის. სუიციდის აღსაწერად წამყვანი იყენებს ფრაზებს „შემაშფოთებელი“, „საგანგაშო“.

პრობლემური იყო სამეგრელოში მომხდარი ტრაგიკული ინციდენტის მედიაგაშუქება (16 წლის გოგომ თავი მოიკლა). [„ნიუპოსტმა“](#) გაასაჯაროვა გოგოს ოჯახური ცხოვრების დეტალები და ისე იყო წარმოჩენილი, თითქოს თვითმკვლელობის მიზეზი ოჯახში არსებული პრობლემები იყო. დეტალურად შევიტყვეთ, მისი პირადი ცხოვრების დეტალები, ოჯახური მდგომარეობა, დედის პირადი ცხოვრება, აღნიშნეს ისიც, რომ გოგონას ძმა ქურდობის ბრალდებით დაკავებული იყო, თუმცა, რა კავშირში იყო მომხდარ ფაქტთან, გაუგებარი დარჩა.

Kvira.ge-სა და [frontnews.ge-ს](#) კი აღწერილი ჰქონდა თვითმკვლელობის მეთოდიც.

- **რეკომენდაცია:** სუიციდის გაშუქების სახელმძღვანელო წესების თანახმად, თვითმკვლელობის ცალკეული შემთხვევების გაშუქება რედაქციის მიერ კარგად უნდა იყოს დასაბუთებული, ვინაიდან კვლევებმა დაადასტურა, რომ კონკრეტული შემთხვევების ზედაპირულმა გაშუქებამ შეიძლება გამოიწვიოს თვითმკვლელობის ახალი შემთხვევები. სუიციდის განხორციელების ადგილი და დეტალების

გასაჯაროება საჭირო არ არის. ამგვარ დეტალებზე ყურადღების გამახვილებით შესაძლოა, უნებურად თავად ვასწავლოთ, თუ როგორ გააკეთონ ეს. დაუშვებელია სუიციდის რომანტიზება, სენსაციურ ჭრილში გაშუქება. არ შეიძლება სუიციდის მხოლოდ ერთ მარტივ მიზეზამდე დაყვანა, ამგვარი გაშუქება ფარულ მესიჯს ატარებს, რომ ამ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვის გამოსავალი სუიციდია.

4.9. ბავშვები რეკლამის ობიექტებად

კვლავაც პრობლემად რჩება ბავშვების გამოყენება რეკლამისა და ქველმოქმედების ობიექტებად. ხშირად ასეთ შემთხვევაში ერთი და იგივე ტექსტი სხვადასხვა ონლაინ მედიასაშუალებებში ქვეყნდება, მაგრამ მითითებული არ არის, რომ ტექსტი დაფინანსებულია და არ მომზადებულია სარედაქციო პასუხისმგებლობის ქვეშ.

ბავშვების გამოყენება პიარ მიზნებისთვის აქტუალური ხდება დღესასწაულებზე. წელს საპარლამენტო არჩევნებამდე განსაკუთრებით გაძლიერდა ბავშვებთან ერთად პოლიტიკოსების, საარჩევნო კანდიდატების გამოჩენა. უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვების მასობრივი გამოყენება პოლიტიკოსების საქმიანობის, ამომრჩევლებთან შეხვედრის და ა.შ. კონტექსტში არ ყოფილა. თუმცა, არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა.

მაგალითად, „ტელეიმედის“ დილის გადაცემას ჰქონდა დამატებული სპეციალური ბლოგი, სადაც პოლიტიკოსების საოჯახო პორტრეტები იყო მომზადებული, როგორც წესი, ბავშვების გარემოცვაში. ასეთ დროს ბავშვები პოლიტიკოსების „ადამიანური სახის“ წარმოჩენისათვის ატრიბუტები არიან ხოლმე.

GDS-ის საინფორმაციო გამოშვება [2030-ის სიუჟეტი](#) ეძღვნებოდა ალექსი პეტრიშვილის და ირაკლი ალასანიას მოსახლეობასთან შეხვედრას დილომში. მასალაში წამოწეული იყო ამორტიზებული მოედნის საკითხი. თუმცა, აქცენტი არა მოედანზე, არამედ პოლიტიკოსების ვიზიტზე გაკეთდა. კომენტარის მიცემისას თვითონ ალექსი პეტრიშვილი ინტერვიუს დროს ფონად იდგნენ ბავშვები. არასრულწლოვნებისთვის აზრი არავის უკითხავს. სიუჟეტში მათი ხმა არ ისმოდა.

მონიტორინგის განმავლობაში ამგვარი კიდევ არაერთი მაგალითი დაფიქსირდა. მაგალითად, [მაცეტროს](#) ეთერში „ქართული ოცნების“ აჭარის დეპუტატობის კანდიდატებმა წმინდა მატათა მოციქულის გიმნაზია პანსიონის ბენეფიციარი ბავშვები მოინახულეს.

პოლიტიკოსების მიერ ბავშვების პიარ მიზნებისთვის გამოყენების შემთხვევები არასაარჩევნო პერიოდშიც ხდება. ამის მაგალითია ასევე გორის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ 12 წლის გიორგისთვის „ოცნების ახდენა“ და ველოსიპედის ყიდვის [შესახებ მასალა](#). ქუთაისის მერის, შოთა მურღულიას მიერ შშმ პირისთვის [ეტლის ჩუქება](#) ანდა მასალა იმის შესახებ, რომ [„საკრებულოს თავმჯდომარე](#) ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგი

ბავშვებს თავისი ხელფასით დაასვენებს . ამავე მიზანს ემსახურება მასალა www.newpost.ge-ზე სათაურით “პატარები პატრულთან ჩახუტების რიგში დგანან”

პოლიტიკოსების გარდა საკუთარი პიარ და სარეკლამო მიზნებისთვის იყენებენ კომერციული კომპანიებიც. მაგალითად, „აუთდორ ჯიმ“ შპს ბავშვებს საჩუქრები დაურიგა, რის შესახებაც მასალა რუსთავი 2-ის [დილის გადაცემაში](#) გავიდა.

- **რეკომენდაცია:** მოერიდეთ ჟურნალისტურ პროდუქტში ბავშვის ქველმოქმედების ან მოწყალების მიმღებ ობიექტად წარმოჩენას. წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში თუკი პოლიტიკოსები ბავშვებთან დაკავშირებით რომელიმე პრობლემაზე საუბრობენ, აქცენტი გააკეთეთ საკითხზე და არა პოლიტიკოსის განცხადებასა და ვიზიტზე. არ შეუწყობთ ხელი ამ ჯგუფებს, აწარმოონ საკუთარი პიარკამპანია ბავშვების გამოყენებით.

4.10. არასწორი ტერმინოლოგია

საანგარიშო პერიოდში რამდენიმე შემთხვევაში მედიამ ბავშვებთან დაკავშირებით არასწორი ტერმინოლოგია გამოიყენა. მაგალითად:


1. 7 ივნისს GDS-ის შუა დღის გადაცემის 1 ბლოკი დაეთმო დანაშაულის პრევენციის ცენტრისა და შშმ ბავშვების მიერ დაკომპლექტებულ მოლაშქრეთა გუნდს. გადაცემაში ერთ-ერთი წამყვანი დანაშაულის პრევენციის ცენტრის ბენეფიციარებს „დამნაშავეებს“ უწოდებს. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრის წარმომადგენელმა მას შეუსწორა, რომ ეს ბავშვები დამნაშავეები არ არიან.
2. 18 ივნისს - [პირველ არხზე](#) გასულ მოკლე ინფორმაციაში აღნიშნეს, რომ „სოციალურად დაუცველი ლუკა გოდიშვილი ნიჭიერთა ათწლედის მოსწავლე გახდა.“ ბავშვის სოციალურ მდგომარეობაზე ხაზგასმა საჭირო არ არის მის წარმატებაზე საუბრისას.
3. რამდენიმე მედიასაშუალებამ (მაესტრო, ნიუპოსტი) გამოიყენა ტერმილი „ქუჩის ბავშვები“ მოიხსენია. უმჯობესია მათ ვუწოდოთ „ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები“.
4. [გაზეთმა აჭარამ](#) არასრულწლოვნებს უწოდა „უნარშეზღუდულები“ ნაცვლად ტერმინისა, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე“

5. 1 ივნისი

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა, თუმცა უკვე ტენდენციად ჩამოყალიბდა, რომ ქართული მედია ამ დღეს აქცენტს აკეთებს არა ბავშვთა უფლებებზე, არამედ სხვადასხვა ორგანიზაციის, სახელმწიფო უწყების თუ კომპანიის მოწყობილ ღონისძიებებსა და ქველმოქმედებაზე. ამ დღესაც ნაკლებად ჩანან ბავშვები, ფსიქოლოგები, მასწავლებლები, მინისტრები, პოლიტიკოსები, ბავშვების მშობლები, საუბრობს ყველა, გარდა თავად ბავშვებისა.


პრესა თითქმის არ დაინტერესებულა ბავშვებთან დაკავშირებული თემებით, ამ დღეს მომზადებული 11 მასალიდან ბავშვი არსად საუბრობდა.

პირველ ივნისს მედია ბავშვებს ძირითადად ამ ღონისძიებების მონაწილეებად და ქველმოქმედების ობიექტებად წარმოგვიდგენდა. ამ დღეს მედიასაშუალების მიერ



გაშუქებულ ამბებში ქველმოქმედების გამცემებად გვევლინებოდნენ სამინისტროები, მუნიციპალიტეტები, გამგებები, საკრებულოს წევრები, მერები. მედიიდან შევიტყვეთ, [როგორ ჩავიდა](#) ხურვალეთში ჩასახლებულ იძულებით გადაადგილებულ ბავშვებთან დავით ბაქრაძე 1 ივნისის მისალოცად და როგორ დაჭრა მათთან ერთად ტორტი, გავიგეთ ისიც, რომ პატარებს ნაყინები [დაურიგეს](#) ახალციხის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა, მივიღეთ ინფორმაცია თუ [როგორ უმასპინძლა](#) სოფლის მეურნეობის მინისტრმა იძულებით გადაადგილებულ ბავშვებს, [როგორ შეხვდა](#) პაატა ბურჭულაძე სკოლის მოსწავლეებს და ა.შ.

გაშუქებული თემები - 1 ივნისი



მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების მიხედვით, საქართველოში ბავშვები ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია, პრესაში არც ერთი სტატია არ ყოფილა ბავშვთა უფლებების, სოციალური, განათლებისა თუ ჯანდაცვის პრობლემების შესახებ.

ონლაინ მედიასაშუალებებში გამოქვეყნდა მასალები თითქმის იდენტური ტექსტებითა და ფოტოებით, რაც აჩენს ეჭვს, რომ პირველ ივნისს ბავშვთა საკითხებზე მომზადებული მასალების დიდი ნაწილის ავტორი არა თავად მედიასაშუალება, არამედ საბავშვო ლონისძიების მომწყობი დაწესებულებაა, მედიასაშუალებები კი პრესრელიზებს უცვლელი სახით აქვეყნებენ. კერძო კომპანიების აქტივობების შესახებ მომზადებული მასალების დიდი ნაწილიდან იკვეთება ფარული კომერციული რეკლამის ნიშნები, რადგან ასეთი სიახლეების დიდი ნაწილი სარედაქციო მასალების სახით იყო გამოქვეყნებული და რეკლამის აღმნიშვნელი მითითება არ ჰქონია.

იგივე ტენდენცია იყო ტელემედიის მიმართ. ერთმანეთის მსგავსი მასალები შეეხებოდა სხვადასხვა კომპანიების თუ სახელმწიფო უწყებების მიერ ბავშვებისთვის მოწყობილ ღონისძიებებს.

საქველმოქმედო ტიპის მასალებიდან აღსანიშნავია „იმედის“ „შუა დღე“, რომელიც მთლიანად დაეთმო საქველმოქმედო გადაცემა-მარათონს. „დიმიტრი ცინცაძის ფონდის“ საქმიანობასა და საქველმოქმედო ღონისძიებას. მას მიემდგვნა GDS-ის შუა დღის მესამე ბლოკიც. ბავშვებს დაეთმო „იმედის დილა“ თუმცა, არ ყოფილა სერიოზული თემები წამოწეული. გადაცემა ძირითადად შევსებული იყო სხვადასხვა საკონცერტო ნომრებითა და ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგი

„იმედის დილის“ და რადიო „იმედის“ თანამშრომლების შვილების გადაცემაში ვიზიტით. მთელი გადაცემა ცდილობდა ბავშვთა დღე ბავშვების გართობასთან დაეკავშირებინა.

საინფორმაციო გამოშვებებმა გააშუქეს სახალხო დამცველისა და გაეროს ბავშვთა ფონდის ანგარიშები. ონლაინ მედიის მხრიდან ანგარიშებში მოყვანილი პრობლემების სიღრმისეული ანალიზის მცდელობა არ ყოფილა. მედიის მთავარი განსახილველი თემა სახალხო დამცველისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ გაკეთებული განცხადებები იყო და არა თავად პრობლემა, რაზეც ისინი საუბრობდნენ. მედიას ანგარიშში მოყვანილი ტენდენციები არ განუვრცია.

ონლაინ მედიისგან და პრესისგან განსხვავებით, ზოგიერთმა ტელევიზიამ შედარებით მეტი დრო და ცალკეული გადაცემები დაუთმო ბავშვების თემას.

მონიტორთა დაკვირვებით, პირველი არხის დილის ეთერი ყველაზე სერიოზულად მიუდგა ბავშვთა დღეს, საინტერესო თემები ჰქონდათ წინ წამოწეული და გადაცემის ყურებისას არ იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს დღე მხოლოდ ბავშვების გართობისა და ქველმოქმედებისთვის განკუთვნილი დღეა. თუმცა აღინიშნოს ისიც, რომ თავად ბავშვები თითქმის არ ჩანდნენ გადაცემაში.

ონლაინ გამოცემებიდან „ნეტგაზეთი“ იყო ფაქტობრივად ერთადერთი გამოცემა, რომელმაც 1 ივნისს ბავშვთა უფლებების და სოციალური პრობლემის შესახებ მასალები გამოქვეყნა.

5. სიღრმისეული გაშუქების მაგალითები

პოზიტიურ ტენდენციად უნდა შეფასდეს მედიის მიერ კრიმინალური შემთხვევების გაშუქებისას ბრალდებულებისა თუ მსხვერპლების კონფიდენციალურობის დაცვის უკვე დამკვიდრებული პრაქტიკა.

ბავშვთა საკითხების სიღრმისეული გაშუქების თვალსაზრისით უნდა გამოიყოს „ბათუმელები“ და „ლიბერალი“, რომლებმაც ამ თემაზე არაერთი მასალა მოამზადეს. აგრეთვე, საზოგადოებრივი მაუწყებლის „რეალური სივრცე“, განსაკუთრებით ის გადაცემა, სადაც განათლების პრობლემა სიღრმისეულად გაანალიზდა, რის შესახებაც თავად მოსწავლეებმაც ისაუბრეს.

განათლებასთან დაკავშირებით კარგი მასალა ჰქონდა გაზეთ „ბათუმელებს“. თავად ბავშვები ასაუბრა და წარმოაჩინა პრობლემა, რაც სკოლაში ხელოვნების [საგნის სწავლებას უკავშირდება](#). ამავე გამოცემამ მოამზადა მასალა სკოლის დამთავრების [ეკონომიკურ ხარჯებთან](#) დაკავშირებით, რაც განსხვავებული ფოკუსი იყო ამ თემის გაშუქებისას.

„ნეტგაზეთმა“ კი ისაუბრა [იმ სირთულეებზე](#), რომელთა გადალახვაც უწევთ საზღვარგარეთ წასულ მშობლებსა და მათ შვილებს. ასევე გამოაქვეყნა [მასალა](#) პოლიტიკოსებს საარჩევნო კამპანიაში ბავშვების გამოყენების შესახებ.

ბავშვებთან დაკავშირებით [განსხვავებული თემით](#) გამოირჩა „ლიბერალიც“, რომელმაც გამოაქვეყნა სიღრმისეულად მომზადებული სტატია სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა მონაწილეობის შესახებ. სტატიაში [„სკოლა და თემი: ურთიერთობა, პრობლემები, გამოწვევები“](#) კი ფართოდ წარმოაჩინა პრობლემები, რაც ამ მიმართულებით არსებობს და საკითხთან დაკავშირებით ასაუბრა ბავშვებიც. ამავე გამოცემამ გამოაქვეყნა ლევან ჯობავას ტექსტი [„მინდა რაგბელი გამოვიდე“](#). პოსტი აღწერს თუ როგორ აცნობს და აყვარებს ბავშვებს რაგბს. აქვე ჩანს ის პრობლემებიც, რომელიც სპორტის მიმართულებით დგას საქართველოში. ტექსტი გამორჩეულია იმ ფონზე, რომ ბავშვებისა და სპორტის თემაზე ხარისხიანი მასალების ნაკლებობა მედიაში.

ახალგაზრდული ლიტერატურის ტენდენციები სიღრმისეულად განიხილა ჟურნალმა [ინდიგომ](#). სტატია პოზიტიური მიდგომით არის დაწერილი. ქართულ ბეჭდურ მედიაში საკმაოდ იშვიათია მსგავსი სტატიები, რომლებიც ეხება ახალგაზრდების ლიტერატურულ გემოვნებასა და არსებული ტრენდების ანალიზს.

სკოლებში რელიგიური ინდოქტრინაციის პრობლემა კი ფართოდ წარმოჩინდა ტაბულას [გადაცემაში](#) „საუბრები რელიგიაზე“.

სიღრმისეული სიუჟეტი ჰქონდა „იმედის“ გადაცემა [„იმედის დროს“](#) მამების ჩართულობაზე შვილების აღზრდაში. გამოკვეთილი იყო ის პრობლემები, რაც შეიძლება შეექმნათ ბავშვებს მოგვიანებით, მამების არასაკმარისი ჩართულობის გამო.

უნდა გამოიყოს არასათანადო პირობებში განათლების მიღების შესახებ ორი სიუჟეტი - პირველი საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გადაცემა [„მომხმეში“](#) გავიდა და ლამბალოს სკოლის არსებულ მძიმე ინფრასტრუქტურულ პირობებს ეხება, მეორე კი „რუსთავი 2-ის“ გადაცემა [პოსტ კრიპტუმმა](#) მოამზადა სოფელ გუნდაეთში მოსწავლეები ზოგად განათლებას კონტენიერებში იღებენ, სადაც არც შუქია, არც საპირფარეშო და „საკლასო ოთახებში“ წყალი ჩამოდის. ორივე მასალაში აქცენტი ბავშვის განათლების უფლებაზე კეთდება.

ამავე არხმა მოამზადა მასალა მცირე ასაკის ბავშვებში [გენიტალიების დასახიჩრების შესახებ](#). სიუჟეტში არ არიან იდენტიფიცირებული არასრულწლოვნები, დაცულია ეთიკური სტანდარტი, ნაჩვენებია ყველა მხარის მოსაზრება. აღსანიშნავია, რომ ქალთა გენიტალიების დასახიჩრების შესახებ პირველად IWPR-მა დაწერა.

აჭარის ტელევიზიის სიუჟეტი [ბავშვთა შრომას](#) ეხება, სიუჟეტი აწყობილია მოზარდების ისტორიაზე, რომლებიც პლაჟზე ცივ სასმელებს და სიმინდს ყიდნიან. აქცენტი გაკეთებულია

სწორედ იმაზე, რომ ამ ბავშვებს მძიმე შრომის გაწევა უწევთ, რომ ეს სახიფათოა მათი ჯანმრთელობისთვის. ამავე თემას მიუძღვნა მასალა ლიბერალმაც - „ბავშვები სანაპიროდან“

მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა გადაცემებმა რამდენჯერმე მთლიანი ბლოკი დაუთმეს ბავშვთა საკითხებს, მაგალითად, 22 ოქტომბერს „TV პირველის“ გადაცემა „საქმიანი დილის“ 1 ბლოკი საკმაოდ სიღრმისეულად შეეხებოდა შერჩევით აბორტებს და გოგოების უფლებებზე მდგომარეობას, მიმოხილული იყო მათ წინაშე მდგარი გამოწვევები, როგორც ზოგადად, ისე ლოკალურ კონტექსტში და გადაცემაში კომპეტენტური სტუმრები საუბრობდნენ აღნიშნულ სოციალურ პრობლემაზე.

5 ოქტომბერს კი „რუსთავი 2-ის“ დილის გადაცემამ ერთი ბლოკი მიუძღვნა ბავშვებისა და კიბერუსაფრთხოების საკითხს, მომზადებული იყო საკმაოდ საინტერესო და სიღრმისეული სიუჟეტი, რომელსაც მოჰყვა თემის სტუდიაში სტუმრებთან ერთად განხილვა.

6. საბავშვო გადაცემები

საბავშვო გადაცემები ცენტრალურ არხზე მწირია, იშვიათია მაუწყებელი, რომელსაც ერთი გადაცემა მაინც აქვს არასრულწლოვნებისთვის განკუთვნილი. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების ამ ჯგუფის ინტერესებს ვერ აკმაყოფილებენ ტელემაუწყებლები.

ქართულ ტელეზაზარზე 2 საბავშვო არხი მაუწყებლობს, რომლებიც უფრო მეტად მცირე ასაკის ბავშვებზეა გათვლილი და პრაქტიკულად არაფერს სთავაზობს მოზარდებს. მონიტორინგისას ორივე არხის სამაუწყებლო ბადე გაანალიზდა.

6.1. საერთო მაუწყებლები¹

6.1.1. პირველი არხი

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხის ეთერში გადის სამი გადაცემა, რომლებიც მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია ბავშვთა საკითხებთან - „წიგნების თარო“, „ჩვენ რაგბი მიგვაქვს მთაში“ და „სიტყვების თამაში“.

როგორც არხის ვებგვერდზეა აღნიშნული, „**წიგნების თარო**“ ეთერში გადის კვირაში ორჯერ, ყოველ შაბათ-კვირას, არა პრაიმტაიმის დროს 16:30 სთ-ზე. გადაცემა თემატურად ლიტერატურულ შეჯიბრს გულისხმობს, რომელშიც ძირითადად 15-16 წლის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ. ისინი 3-კაციან გუნდებად ეჯიბრებიან ერთმანეთს გამარჯვებული გუნდი ოლიმპიური სისტემით გადადის შემდეგ ტურში და საბოლოოდ ფინალში გამარჯვებული გუნდი 2 კვირით ბრიტანეთში გაემგზავრება საზაფხულო

¹ მაუწყებლები, რომლებიც საზოგადოებრივ პოლიტიკურ გადაცემებს სთავაზობენ აუდიტორიას ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგი

სკოლაში. გადაცემაში ასევე ჩართულები არიან მოსწავლეები მაყურებლის სახით, ისინი თავად გზავნიან შეჯიბრში მონაწილე გუნდებისათვის შეკითხვებს.

გადაცემას ნახევრად შემეცნებითი, ნახევრად გასართობი ფორმატი აქვს, რაც მას სასიამოვნოდ საყურებელსა და აზარტულს ხდის, ინფორმაციულთან ერთად. გადაცემის ფორმატი და შეჯიბრისას დასმული შეკითხვები სრულად შეესაბამება მონაწილე ტინეიჯერთა ინტერესებსა და ცოდნას და ითვალისწინებს პოტენციური აუდიტორიის ინტერესებსაც. შეიძლება ითქვას, რომ „წიგნების თარო“ იმ გამონაკლის გადაცემად შეიძლება დასახელდეს, რომელიც როგორც ფორმატის, ისე შინაარსის გამო სრულიად ადეკვატურია სამიზნე აუდიტორიისათვის, ხელს უწყობს მათ ინფორმირება და ცოდნის გაღრმავებას და ახდენს წიგნიერების პოპულარიზაციას.

გარდა თავად გადაცემისა, მაუწყებლის ვებ-გვერდზე ქვეყნდება მოსწავლეთა ბლოგპოსტები, სადაც ისინი სასურველ თემებზე წერენ, რაც კარგი შესაძლებლობა ამ ასაკის მოსწავლეების თვითგამოხატვისთვის.

პირველი არხის ეთერში ასევე გადის გადაცემა „სიტყვების თამაში“, რომელიც არხის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, გასართობ-ინტელექტუალური გადაცემაა. ისიც კვირაში ორჯერ, შაბათს-კვირას დღის პირველ ნახევარში, 11:25სთ-ზე გადის ეთერში. გადაცემა არ არის მხოლოდ ბავშვებისთვის განკუთვნილი, მასში როგორც წესი, ოჯახები მონაწილეობენ, რომელთა შორის 1 უნდა იყოს არასრულწლოვანი (ასაკი მერყეობს, არიან როგორც 9-10 წლის ისე 14-15 წლის მოზარდები). სწორედ ისინი არიან გუნდების კაპიტნები. ოჯახები სხვადასხვა პრინციპზე დაყრდნობით ცდილობენ, რამდენიმე ტურის მანძილზე, სიტყვების გამოცნობით დააგროვონ ქულები. გამარჯვებული გუნდი გადადის შემდეგ ეტაპზე და ფინალურ ეტაპზე წარმატებული გუნდი დისნეილენდში მიემგზავრება. „სიტყვების თამაშის“ აუდიტორია მხოლოდ ბავშვები არ არიან, სრულწლოვნებსაც თანაბრად მოიაზრებს.

გადაცემაში ბავშვები არ არიან წარმოჩენილნი როგორც დასაცინი ან გასართობი არსებები. ისინი გადაცემის სრულფასოვანი მონაწილეები არიან. გარდა ამისა, შესასრულებელი დავალებები ნეიტრალური თემატიკისაა (რაიმე წინააღმდეგობრივ თემას არ მოიცავს) და დამლევა შესაძლებელია. რამდენად არის ის ინტელექტუალურ გადაცემა საკამათოა, ვინაიდან მას არ გააჩნია შემეცნებითი ან საგანმანათლებლო ხასიათი და მხოლოდ და მხოლოდ მცირე დროში ასოებისაგან სიტყვების დაწერას გულისხმობს.

ჟურნალისტ ლევან ჯობავას პროექტი „ჩვენ რაგბი მიგვაქვს მთაში“ გადაცემათა ციკლი იყო, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგებოდა და რომლის მთავარი არსიც რაგბისა და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ბავშვებისათვის სპორტული ცხოვრების წესის პოპულარიზაცია წარმოადგენდა. პროექტის ფარგლებში, საზოგადოებრივი მაუწყებლის ჯგუფი ყოფილ და ამჟამინდელ მორაგბეებთან ერთად სამ მაღალმთიან რეგიონს ფშავ-ხევსურეთს, სვანეთსა და რაჭას ეწვია და ადგილობრივ ბავშვებს რაგბის თამაშის წესებს

ასწავლიდა. პროექტით აბსოლუტურად გათვალისწინებული იყო ბავშვების ინტერესები. ისინი თავად იყვნენ რესპონდენტები და შესაბამისად თავადაც საუბრობდნენ, როგორც ამ პროექტის მნიშვნელობაზე, ასევე, ზოგადად რაგბისა და სპორტის მნიშვნელობაზე. გადაცემა საინტერესო იქნებოდა როგორც არასრულწლოვანი, ისე სრულწლოვანი მაყურებლებისთვის. გარდა ამისა, პროექტის გუნდი აქტიურად ცდილობდა რომ კონკრეტულად ამ სპორტის მაღისმიერი ხასიათიდან გამომდინარე, არ ჰქონოდათ სტერეოტიპული მიდგომები და მასში ჩაერთოთ მაღალმთიან სოფლებსა თუ რაიონულ ცენტრებში მცხოვრები როგორც ბიჭები ისე გოგონები.

ეს პროექტი ნამდვილად აღსანიშნავია ბავშვთა გაშუქების თვალსაზრისით, ვინაიდან იგი არა მხოლოდ ბავშვებში რაგბის პოპულარიზაციაზე იყო ორიენტირებული, არამედ თავისთავში მოიცავდა საგანმანათლებლო კომპონენტსაც და თავად ბავშვებს პოზიტიურ ჭრილში წარმოაჩენდა.

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია „ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები“. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული გადაცემებისა, მაუწყებელს კიდევ ბევრი აქვს სამუშაო იმისათვის, რომ არასრულწლოვნების სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების ინტერესები დააკმაყოფილოს და მრავალფეროვანი, საინტერესო გადაცემები შესთავაზოს მათ.

6.1.2. რუსთავი 2

„რუსთავი 2-ზე“ ყოველ კვირას დილის 11 საათზე გადის გადაცემა „ეკივოკი“, რომელიც ერთგვარი აზარტული თამაშია, სადაც საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანები (ძირითადად სრულწლოვნები, თუმცა ზოგჯერ ისინი შვილებთან ერთად მონაწილეობენ გადაცემაში) ერთმანეთს ეჯიბრებიან სიტყვების გამოცნობაში. სიტყვების ახსნა ჩაწერილი მცირეწლოვან ბავშვებთან და მათ ახსნაზე დაყრდნობით უფროსებმა უნდა გამოიცნონ სიტყვა. ასევე, ბონუს-ტურში, ბავშვებს ასმენინებენ მუსიკას ყურსასმენებში, რომელიც მან უნდა ილიდინოს, ხოლო სტუმარმა უნდა გამოიცნოს ეს მუსიკა. „ეკივოკი“ ცალსახად არ არის გადაცემა ბავშვებისთვის, ეს უფრო მეტად არის გადაცემა ბავშვების მონაწილეობით.

„ეკივოკი“ კლასიკური მაგალითია იმისა, როდესაც ბავშვები წარმოჩენილნი არიან როგორც გასართობი, საყვარელი და დასაციანი ობიექტები, რომლებმაც უნდა განმარტონ სხვადასხვა სიტყვა, რიგ შემთხვევაში მათი ცოდნისათვის სრულიად შეუფერებელი ტერმინები (ჩაფხუტი, პირამიდა, დინამიკი). გადაცემის მანძილზე გამოყენებულია ვიდეოები, სადაც ბავშვები სასაცილოდ ან შეუფერებლად ხსნიან ხოლმე ამა თუ იმ ნივთის დასახელებას ან ტერმინს. წამყვანი და სტუმრები კი ამ ბავშვების საუბარზე ძირითადად იცინიან და მაგალითად, აღნიშნავენ თუ როგორი [ალოგიკურია](#) ბავშვების ლოგიკა.

ბავშვების ლოგიკის როგორც უცნაურის სტერეოტიპიზაციაზე მეტყველებს თავად გადაცემის აღწერაც „რუსთავი 2-ის“ ვებგვერდზე, სადაც აღნიშნულია - „თამაშის ბოლოს უმაღლესი ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგი

ქულების მიხედვით ვლინდება ბავშვური ლოგიკის კვირის ექსპერტი.“ გადაცემა ცდილობს ხაზი გაუსვას ბავშვების ლოგიკის უცნაურობასა და განსაკუთრებულობას. გარდა ამისა, იგი პირდაპირ ხაზს უსვამს რომ გადაცემაში მათი მონაწილეობა განაპირობებს „ეკივოკის“ მხიარულ კონტენტს.

6.2. ბასტი ბუბუ

არხი ბასტი-ბუბუ მთლიანად ბავშვებს ეძღვნება. გადაცემები მათ შესახებ და მათი მონაწილეობით მზადდება, თუმცა რჩება შთაბეჭდილება, რომ არხი, ფაქტობრივად, გათვლილია მხოლოდ ბასტი-ბუბუს სტუდიის ბავშვებზე და მათ ახლობლებზე, ვინაიდან გადაცემებს არ აქვს კონცეფცია და რიგ შემთხვევებში მხოლოდ ბავშვების ეკრანზე გამოჩენას ემსახურება. გადაცემების ნაწილს არ აქვს ფორმატი, არ არის სტრუქტურირებული. პროგრამა გათვლილია მცირეწლოვან ბავშვებზე და უფრო მოზრდილი ასაკის არასრულწლოვნებს არხი ფაქტობრივად, ვერაფერს სთავაზობს.

გადაცემების უმეტესობა სავსეა გენდერული სტერეოტიპებით და ხელს უწყობს ქალისა და კაცის გენდერული როლების დამახინჯებულ აღქმას. მაგალითად ბასტიბუბუს ეთერში ყოველ დღე რამდენჯერმე გადის გადაცემა „ფეშენ ბზ“. აქ თითოეული გადაცემისთვის ირჩევენ ერთ ან რამდენიმე ბავშვს, ძირითად შემთხვევაში გოგოს. მას საგულდაგულოდ უვარცხნიან თმებს, უკეთებენ მაკიაჟს, შემდეგ კი გადასაღებ ლოკაციაზე მიჰყავთ და ფოტოებს უღებენ. გადაცემის ბოლოს გვიჩვენებენ ყველა იმ ფოტოს, რაც ფოტოსესიაზე გადაიღეს. გარდა იმისა, რომ გადაცემა ფაქტობრივად მესიჯს აწვდის ბავშვებს რომ ფოტოობიექტივის წინ პოზირება „გოგოს საქმეა“, გაუგებარია, ვინ არის ამ გადაცემის სამიზნე აუდიტორია, ვის უნდა დააინტერესოს, როგორ უღებენ კონკრეტულ ბავშვს ფოტოებს.

საეთერო ბადის დაახლოებით 80% მუსიკალური კლიპებითაა შევსებული. ამ შემთხვევაშიც, გაუგებარი რჩება, რა პრინციპით შეირჩევიან ბავშვები, რომელთაც კლიპს უღებენ და შემდეგ ეთერში უშვებენ. რჩება შთაბეჭდილება, რომ კლიპებში მონაწილეობა გარკვეული თანხის სანაცვლოდაა შესაძლებელი.

გენდერული სტერეოტიპები ამ ტიპის მუსიკალურ კლიპებშიც გვხვდება. გოგოები. როგორც წესი, ან ჭურჭელს რეცხავენ, ან სილამაზის სალონში არიან და იპრანჭებიან, ან კიდევ „ბავშვს“ უვლიან. „ცხოზა ჩემი ჰობია“ - სწორედ ასეთი იყო ერთ-ერთი პატარა გოგოს სიმღერის შესავლის ტექსტი, კლიპში კი ნაჩვენები იყო, როგორ ფუსფუსებდა წინსაფარწაკრული ბავშვი სამზარეულოში.

ბიჭები კი კლიპებში „ვაჟკაცურები“ არიან. თუკი გოგოები რეცხავენ, აუთოვებენ, ბავშვს უვლიან, საჭმელს ამზადებენ, ბიჭები სკოლისა და სწავლის მნიშვნელობაზე მღერაინ. ერთ-ერთი კლიპი ბიჭების მონაწილეობით, მილიტარისტულ-პატრიოტულიც იყო, სადაც

სამხედრო ფორმაში ჩაცმული, იარაღმომარჯვებული პატარები ჩანდნენ. ამგვარი სტერეოტიპები ძლიერია პოეზიაშიც. პოეტები ბავშვს უწერენ ლექსს, შემდეგ ბავშვი სწავლობს და ზეპირად ამბობს. გოგონები ლექსებში ძირითადად უფროსებს, დედებს ბაძავენ. ერთ-ერთი ასეთი ლექსი, დედობის „მძიმე ხვედრს“ გვიჩვენებდა, დედამ ბავშვი (თოჯინა) ძლივს დააძინა და მეგობრებთან წავიდა კაფეში საჭორაოდ, მაგრამ გართობა არ დასცალდა, ბავშვის ტირილი მოესმა და სახლისკენ გაიქცა.

ეთერში გადის გადაცემა „თავდაყირა“, რომლის ფორმატი ძნელი გასაგებია. აქ ხან ცნობილ ოჯახებს იწვევენ შვილებთან ერთად და წყვილს ეკითხებიან, როგორ გაიცნეს ერთმანეთი, (ამ დროს სტუდიაში მყოფი ბავშვი არავის ახსოვს), ხან კი გადაცემიდან ბავშვებს სხვადასხვა ნივთების დამზადებას ასწავლიან. მაგალითად, პირველი დეკემბრის გადაცემაში პატარებს ასწავლიდნენ, როგორ დაემზადებინათ დაბადების დღის მოსაწვევები. როგორც [გადაცემიდან](#) ირკვევა, მოსაწვევს სქესი აქვს, შეგიძლია დაამზადო მოსაწვევი ბიჭებისთვის (ლურჯი ფერის, მანქანის ფორმის) და გოგონებისთვის (ვარდისფერი, გულის ფორმის).

26 ნოემბრის გადაცემაში კი სასულიერო პირი ჰყავდათ მოწვეული, რომელსაც წამყვანებმა ჰკითხეს, როდის უნდა დაიწყოს ბავშვმა სასკოლო ცხოვრება. „ქალბატონი ჯერ უნდა იყოს ღიასახლისი და მერე სხვა პროფესიები, რომ ოჯახი იყოს მყარი, ასე ვთქვათ“ - ამავე დღის გადაცემაში ამ სიტყვებით მიმართა წამყვანმა სტუმრად მიწვეულ ბავშვს.

იქიდან გამომდინარე, რომ გადაცემას ფორმატი ფაქტობრივად არ აქვს, ძნელია იმის თქმა, ვისთვისაა ეს გადაცემა განკუთვნილი. რომელი ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებს აინტერესებთ სასულიერო პირის მოსაზრება, თუ როდის უნდა დაიწყონ ბავშვებმა ეკლესიური ცხოვრება, ან როდის გაიცნო ამა თუ იმ წყვილმა ერთმანეთი.

უცნაურია ისიც, რომ ხანდახან გადაცემის წამყვანები აუდიტორიას ტელეკომპანია „იმედიდან“ ესალმებიან: „აი უკვე სამი თვეა იმედის არხზე ვხვდებით“, ამბობს 30 ნოემბრის გადაცემაში წამყვანი. სავარაუდოდ, „ბასტი-ბუბუს“ ეთერში გადის არა ამ ტელეკომპანიის პროდუქტს, არამედ საარქივო გადაცემას, რომელიც ადრე „იმედზე“ გადიოდა, მაგრამ წარწერა „არქივი“ არსად ჩანს, შესაბამისად, რთულია იმისი თქმა, რომელი გადაცემა ახალი და რომელი არქივიდან.

გადაცემა „პირადი ჩანაწერები“ კი უფროსებისთვის მეტად არის განკუთვნილი, ვიდრე ბავშვებისთვის, ვინაიდან გადაცემაში სტუმრად მყოფი ცნობილი ადამიანები საკუთარი ცხოვრების შესახებ ჰყვებიან.

მოზარდებს მიჰყავთ გადაცემა „სახეები“, თუმცა, მთელი გადაცემის არსი ისაა, რომ იღებენ ერთ თემას (მაგალითად კითხვა, პოპარტი) და თემის შესაბამისად, აწყობენ ფოტოსესიას და იღებენ ფოტოებს. ეთერში ფოტოების გადაღების პროცესს და გადაღებულ ფოტოებს აჩვენებენ.

ბასტი ბუბუს ვებსაიტის მიხედვით სასწავლო გადაცემა „სიზმარვიზია“. ამ გადაცემაში მიდიან კონკრეტულ ბავშვთან, ეცნობიან მის ოჯახს, მის ყოველდღიურობას, შემდეგ ტელევიზია ამ ბავშვის ცხოვრების ერთ მომენტს მულტფილმის სახით წარმოადგენენ. მაგალითად, ერთ ოჯახში სტუმრობისას დედამ თქვა, რომ ბავშვი მის პატარა დაზე ექვიანობს. შემდეგ გაუშვეს ვიდეო, რომლის მიხედვითაც ბავშვს თავისი პატარა და ელენე არ უყვარდა, ექვიანობდა და ბუდლაჯანას სთხოვა მოსულიყო და წაეყვანა ელენე. როცა ბუდლაჯანა მოვიდა, სიზმრის გმირმა სურვილი იხანა და პატარა და ბუდლაჯანასგან იხსნა. გაუგებარია სიზმარი რა შუაშია ამ გადაცემასთან და რატომ ჰქვია „სიზმარვიზია“.

შედარებით დადებითაც უნდა შეფასდეს გადაცემა „კარლსონი“, რომლის წამყვანი კარლსონია. ის ზღაპრებს ყვება და ზღაპრებთან შესაბამის სიმღერებს მღერის. წამყვანი საკამოდ სახალისოდ ყვება ზღაპრებს, პროცესში ჩართული არიან მონაწილე ბავშვებიც. „ბუნების გაკვეთილებში“ კი გარდენიაში მყოფ ბავშვებს ზურა შევარდნაძე მცენარეების მოვლას ასწავლის.

სამაუწყებლო ბადის მიხედვით, სასწავლო გადაცემების კატეგორიაში ორი გადაცემა - ერთში სიმღერით ინგლისური უნდა ისწავლოს, მეორეში კი- კითხვა. სიმღერით კითხვით შემსწავლელ გადაცემის განმავლობაში ბავშვები სიმღერას მღერიან და ქვემოთ ტექსტი იწერება. სინამდვილეში ეს გადაცემა კარაოკეა, სადაც წესით, გადაცემაში მონაწილე ბავშვებთან ერთად, მაყურებელმა პატარებმაც უნდა იმღერონ. წარმოუდგენელია, ამ მეთოდით ბავშვმა კითხვა ისწავლოს. აქვე აღსანიშნავია, რომ როცა გადაცემას აქვს პრეტენზია კითხვის სწავლების, უმჯობესია არ დაუშვას კორექტურული და გრამატიკული შეცდომები სიმღერის ტექსტში.



6.3. ენკი-ბენკი

„ენკი ბენკი“ ბავშვებისთვის განკუთვნილი არხია. ეთერში არა მხოლოდ კვირაში, არამედ ზოგჯერ დღეში რამდენჯერმე მეორდება გადაცემები. პროგრამების ნაწილი არ არის ადაპტირებული ბავშვებისთვის, არ აწვდიან მაყურებლებს ამბებს ინოვაციური გზებით. არხი განიცდის საგანმანათლებლო-შემეცნებითი გადაცემების ნაკლებობას. ასევე მცირეა თავისივე არხის მიერ წარმოებული პროგრამები და ისეთი გადაცემები, სადაც ბავშვები იქნებიან აქტიურად ჩართულები. არხზე სტერეოტიპულადაა ნაჩვენები გოგოებისა და ბიჭების როლები.

“ენკი - ბენკიზე” ყველზე დიდი დრო ბავშვების სიმღერებს ეთმობა და სტერეოტიპულად არიან წარმოჩენილები - გოგოები, როგორც ნაზი, პრანჭია, ჭორიკანა არსებები, ფონად აქვთ ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგი

ყვავილები, მზე, პეპლები... სჭარბობს ვარდისფერი და ა.შ. მაშინ, როდესაც ბიჭები მშენებლობასა და მანქანებზე მღერიან - ფონიც შესაბამისი აქვთ. მაგალითად, ერთ-ერთ სიმღერაში, რომელსაც გოგოები მღერიან და “დიეტა” ჰქვია, სიმღერის ბოლოს საჭმელს აკეთებენ და აჭმევენ ბიჭს, რომელიც წიგნს კითხულობს.

რუბრიკები „ტელე ატლასი“/„ერთხელ ერთ ქვეყანაში“ შემეცნებითი ხასიათისაა და ბავშვებისთვის ინფორმაციის მიწოდებას ისახავს მიზნად, თუმცა ტექსტები არ არის ასაკის შესაბამისად ადაპტირებული. მაგალითად მოისმენთ ასეთ ტექსტებს:

ონორე დე ბალზაკმა „შექმნა ორიათას პერსონაჟიანი ეპოპეა, მთელი საზოგადოება, რომელსაც საკუთარი გენეოლოგია, გეოგრაფია და ცხოვრების ფილოსოფია აქვს. ეს ფილოსოფია გამომდინარეობს მწერლის მატერიალისტური მსოფლმხედველობიდან, რომელიც ზოგი რამით შუა საუკუნეების მისტიკურ მატერიალიზმს წააგავს,” “იოჰან სებასტიან ბაჰმა თავის შემოქმედებაში განასახიერა უბრალო ადამიანის მდიდარი სულიერი სამყარო” და ა.შ.

ეთერში გადის რამდენიმე უცხო ქვეყნის მიერ წარმოებული გადაცემა ქართულ ენაზე, მათ შორის ასწავლიან ორიგამების და ფოკუსების კეთებას, რაც სხვა გადაცემებთან შედარებით საინტერესოა. გადაცემაში “გიჟური საფარი” კი ქალი და სათამაშო დათუნა აჩვენებენ, როგორ შეიძლება ერთი შეხედვით უსარგებლო ნივთებით სხვადასხვა სახის სათამაშოების გაკეთება. კიდევ ერთი უცხოური გადაცემაა „საბავშვო ცეკვები“, რომელიც გოგოებისთვისაა განკუთვნილი: სტუდია ვარდისფერია, მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც გოგოები არიან.

რაც შეეხება ტელეკომპანიის მიერ წარმოებულ პროდუქტს, გადაცემა ეთერში გადის “მულტიკინოგრაფია”, რომელიც არასრულწლოვანს მიჰყავს. გადაცემა იმ ადამიანების, მოვლენების შესახებაა, რომლებმაც კინოსა და ანიმაციის მიმართულებით სამყარო შეცვალეს. გადაცემა “მხირული ობიექტივიც” მცირეწლოვან ბავშვს მიჰყავს და ეს არის გასართობი ვიდეოების კრებული. ორივე გადაცემაში არასრულწლოვნების ჩართულობა მინიმალურია და ძირითადად გადასასვლელ ტექსტებს ამბობენ. უნდა აღინიშნოს, რომ გადაცემები არ გამოირჩევა ვიზუალური მხარით და ძნელია ბავშვის დაინტერესება ამგვარი გადაცემით.

არხის სახე არის ძალიან რუდოლფი (სათამაშო), კაჭკაჭი ტუკა (სათამაშო) და პროფესორი ხრინკი (ადამიანი). დღის განმავლობაში აჩვენებენ პატარა მინიატურებს (ხშირად ერთი და იმავეს) ამ გმირების მონაწილეობით, ყოველ საღამოს გადის “ენკი-ბენკის” ძილისპირუღი. მთავარი იდეა არის ის, რომ ტუკა და რუდოლფი ვერ იტანენ ერთმანეთს და სულ ჩხუბობენ. თუმცა საბოლოო ჯამში მაინც გაუგებარია მინიატურების იდეა და მიზანი.

დასკვნა

ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგის შედეგების ანალიზი აჩვენებს, რომ მედიასაშუალებების მგრძნობელობა ბავშვთა საკითხებისადმი ბოლო პერიოდში გაიზარდა, ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგი

ისინი ფრთხილობენ ამ თემების გაშუქებისას, თუმცა იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამგვარმა სიფრთხილემ გამოიწვია ბავშვების ზედმეტად დაფარვა. ამის მაგალითად გამოდგება შემთხვევები, როდესაც ყოველდღიური თემების გაშუქების დროსაც კი, როდესაც მოსალოდნელი არ არის რაიმე ზიანის მიყენება, დაფარულია ბავშვი.

მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა იმ მასალების რაოდენობა, სადაც ბავშვის ხმა ისმის, მედიას კიდევ ბევრი აქვს სამუშაო იმისათვის, რომ ჩართოს არასრულწლოვნები დისკუსიებში და მათთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები მათი მონაწილეობით განიხილოს.

სასიხარულოა, რომ სულ უფრო ნაკლებია უხეში ეთიკური დარღვევები კანონთან კონფლიქტში მყოფი ანდა ძალადობის მსხვერპლი ბავშვების გაშუქებისას. სხვა თემებთან დაკავშირებით მცირე დოზით, მაგრამ მაინც ფიქსირდება სტანდარტების დარღვევით გაშუქების პრობლემა.

გამოწვევად რჩება არასრულწლოვნებთან დაკავშირებული თემების სიღრმისეული გაშუქება. ხშირად ბავშვთა საკითხები განიხილება ცალკე, მაგალითად, ბავშვის მოვლა, აღზრდა და აშ და არა საზოგადოებაში არსებული პრობლემების ზოგად კონტექსტში. აუცილებელია მედიამ მეტი ყურადღება დაუთმოს იმ პრობლემების ფართოდ გაშუქებას, რომელიც გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებასა და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

საბავშვო არხებსა და გადაცემებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მაუწყებელთა უმრავლესობას საერთოდ არ აქვს არასრულწლოვნებისთვის განკუთვნილი პროგრამა. საბავშვო არხების სამაუწყებლო ბადეში განთავსებული გადაცემების დიდი ნაწილი კი კრიტიკას იმსახურებს, ვინაიდან არ სთავაზობს სხვადასხვა ასაკის ბავშვებს მრავალფეროვან, საინტერესო, სასარგებლო გადაცემებს, ამასთან, ამყარებს განსაკუთრებით გენდერულ სტერეოტიპებს.